ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 1
25.01.2019

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. **2019–2020** სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა–კითხვარის დამტკიცება;

**2.** ცვლილებები ფსიქოლოგიის დეპარტემენტისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროგრამების სილაბუსებში:

3. საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის საკითხი;

4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის - მზექალა აჭაიძის - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება;

5. სხვა:

- აკადემიური პერსონალის საათობრივი ანაზღაურების შესახებ
- მაგისტრატურის პროგრამებში სტუდენტების მინიმალური რაოდენობის შესახებ
- ფაკულტეტის ბაზების LMS სისტემაზე გადასვლის შესახებ

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

*<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>*

პროფესორები :

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, შორენა მამუკაძე

ასისტენტ პროფესორები :

*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ეთერ ღვინერია, ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ანა კვირიკაშვილი, მარიამ ხოშტარია, მარიამ ბექაური, ირაკლი ხაბულიანი, შალვა ხოსიტაშვილი, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 24 წევრი

1. 2019–2020 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა–კითხვარის დამტკიცება

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა–კითხვარის დამტკიცების საკითხი. მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილეს პროგრამის ხელმძღვანელებთან, შეჯერდნენ ყველა საჭირო დეტალზე და მათ შორის რაოდენობებზე *(განათლების ფსიქოლოგია და კვლევა -10; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია - 14; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - 15; ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - 8; იურიდიული ფსიქოლოგია - 10; ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური კონსულტაცია და შეფასება - 10; განათლების მეცნიერებები - 60; მასწავლებელთა განათლება - 30).* აბიტურიენტების მისაღები კონტიგენტის რაოდენობები საბჭოს სხდომაზე გამოტანილ იქნა დასამტკიცებლად.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. ცვლილებები სილაბუსებში

შემდეგი საკითხი ეხებოდა ცვლილებებს, რომლებიც აისახა სხვადასხვა საგნის სილაბუსში, როგორც ფსიქოლოგიის, ასევე განათლების დეპარტამენტის პროგრამების ფარგლებში. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა აღნიშნული ცვლილებები ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფარგლებში. საბჭოს წევრებს განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოუთქვამთ. ხოლო შემდეგ პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა განიხილა ცვლილებები, რომელიც ეხებოდა განათლების დეპარტამენის ფარგლებში არსებულ სილაბუსებს. აქვე პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი დისციპლინა საჭიროებდა საკონტაქტო საათობრივი დატვირთვის გადახედვასა და შესაბამის ოპტიმიზაციას. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს ფაკულტეტის პროგრამული განვითარების კომიტეტზე და მიიღეს გადაწყვეტილება საათობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ ცვლილების საფუძველზე შემცირდა 45 საათი.

**ფსიქოლოგიის დეპარტამენტი:**

საბაკალავრო პროგრამას „ფსიქოლოგია"ემატება ახალი არჩევითი კურსი: „სწავლა – სწავლების თანამედროვე მოდელები და მათი გამოყენების პრაქტიკა" სილაბუსის ავტორი – პროფ. მზია წერეთელი; ასოც. პროფესორი ია აფთარაშვილი;

საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია" სასწავლო კურსში: „შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში" შევიდა ცვლილებები; შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები; სილაბუსის ავტორი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი;

სამაგისტრო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" სასწავლო კურსში „ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა დამოზარდებისთვის" შევიდა ცვლილებები; განახლდა სასწავლო კურსის შინაარსი; სილაბუსის ავტორი – ასის. პროფესორი ირინეგეძევანიშვილი;

სამაგისტრო პროგრამის „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)" კურიკულიმიდან ამოღებულია სალექციო კურსი „ფილოსოფიური ანთროპოლოგია". სილაბუსის ავტორი – პროფესორი ა. ყულიჯანაშვილი.

**საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.**

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

განათლების დეპარტამენტი:

სამაგისტრო პროგრამა - განათლების მეცნიერებები

1. განათლების მართვა - ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლები სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი.
2. სასწავლო პროცესის ჰიგიენა - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
3. სოციალური პედაგოგიკა - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
5. ძირითადი პროცესები უმაღლეს განათლებაში - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
6. სამოქალაქო განათლების ძირითადი საკითხები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
7. მულტიკულტურული განათლება, პედაგოგიური მიდგომები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
8. საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე ტენდენციები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

სამაგისტრო პროგრამა - მასწავლებელთა განათლება

1. დიდაქტიკა - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
2. მულტიმედია საშუალებები სწავლება/სწავლის პროცესში - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
3. ტექსტის ანალიტიკური კვლევის მეთოდები 2 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
4. ინგლისური ენის სტრუქტურა და სწავლების თანამედროვე მეთოდები 2 -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
5. ინგლისური ენის სწავლება სპეციფიკური მიზნებისათვის - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;

6. ენის კომუნიკაციური უნარების განვითარება 2 -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი ;
7. ქვეყანათმცოდნეობა -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
8. მულტიმედია-საშუალებები ინგლისური ენის სწავლებაში - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

საბაკალავრო პროგრამა - დაწყებითი განათლება

1. პედაგოგიკა 1 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
2. საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
3. ქართული პედაგოგიური აზრის ისტორია - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
4. ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
5. პედაგოგიური კვლევის საფუძვლები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 3 - ის ნაცვლად იყოს 2 საათი;
6. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

საბაკალვრო პროგრამა - პედაგოგიკა მეორადი

1. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
2. საგნის სწავლების მეცნიერული საფუძვლები (ქართული ენა) - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;

3. ქართულის სწავლების ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები 2 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
4. საგნის სწავლების მეცნიერული საფუძვლები (ინგლისური ენა) -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
5. საგნის სწავლების მეთოდიკა: (ინგლისური ენა 2) - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
6. სასკოლო ფიზიკის სწავლების მეთოდიკა 2 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
7. სასკოლო ქიმიის სწავლების მეთოდიკა 2 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
8. სასწავლო კურსი ბიოლოგიაში - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
9. ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 2 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
10. გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 2 -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
11. მათემატიკის სწავლების კერძო მეთოდიკა 1 - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
12. ფიზიკის სასკოლო კურსის მეცნიერული საფუძვლები - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
13. ქიმიის სასკოლო კურსის მეცნიერული საფუძვლები -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
14. სასკოლო გეოგრაფიის მეცნიერული საფუძვლები -სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი;
15. სამეტყველო კომუნიკაციის პრაგმატიკა (რუსული ენა) - სასემინარო საკონტაქტო დატვირთვა 2-ის ნაცვლად იყოს 1 საათი.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის საკითხი:

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს სხდომაზე დააყენა საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის საკითხი. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფმა კრიტერიუმების დახვეწაზე გააგრძელოს მუშაობა და შესაბამისად, განახლდეს სამუშაო გრაფიკი. ამ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ გამოთქვა სურვილი, რომ თავადაც ჩაერთვება ჯგუფის მუშაობაში და ასევე, დაამატა, რომ ვისაც ექნება სურვილი შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა ითხოვა სამუშაო ჯგუფიდან გასვლა სხვა აქტივობებით დაკავებულობის გამო. საბოლოო ჯამში საბჭო შეთანხმდა, რომ სამუშაო ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას და სურვილის შესაბამისად პროფესორებს შეუძლიათ ჩაერთონ სამუშაო ჯგუფში ან უარი თქვან მონაწილეობაზე. ირინე ჟვანიამ დააყენა კენჭისყრაზე პროფესორი ქეთევან ჭკუასელის საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფიდან გამოსვლის და პროფესორ თამარ გაგოშიძის აღნიშნულ ჯგუფში შესვლის საკითხი.

**საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ერთხმად დაამტკიცა.**

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

გარდა ამისა საბჭომ იმსჯელა სამუშაო ჯგუფის ეფექტიანობის საკითხზე და შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნია, რომ ჯგუფს ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც მოამზადებს, დაგეგმავს და წარმართავს ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებულ პროცესებს. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის პოზიციაზე წარადგინა ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის კანდიდატურა.

**საბჭომ კენჭი უყარა ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის დამტკიცებას სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის პოზიციაზე და ერთხმად დაამტკიცა.**

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

**4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის - მზექალა აჭაიძის - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება:**

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წინაშე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი, რომელიც ეხებოდა ფსიქოლოგიისა და განათლების

მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის - მზექალა აჯაიძის - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცებას. საბჭოს მდივანმა საბჭოს წარუდგინა კომისიის შემადგენლობა *(ქეთევან ჭკუასელი - პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; რუსუდან სანაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; ნინო ჩახუნაშვილი - ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; ეფემია ხარაძე - ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; თეა ფეტელავა - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ენების ცენტრის მასწავლებელი, საქართველოს უნივერსიტეტი; ნინო ანთაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; ლედა ქობალია - პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტი)* და აქვე დააზუსტა, რომ წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

**საბჭომ კენჭი უყარა კომისიის შემადგენლობას და ერთხმად დაამტკიცა.**

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

**5. სხვა:**

დამატებითი საკითხი განსახილველად მომზადებული ჰქონდა ასოცირებულ პროფესორს გიორგი გოროშიძეს, თუმცა მან მის მიერ მომზადებული საკითხის განხილვის გადადება ითხოვა.

- ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან აკადემიური პერსონალისათვის დამატებითი საათების ანაზღაურების შესახებ. თუმცა, აღინიშნა, რომ აუცილებელია განისაზღვროს ანაზღაურებასთან დაკავშირებული გარკვეული წესი. საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და შეთანხმდა, რომ დათქმის სახით განისაზღვროს შემდეგი - იმ *აკადემიურ პერსონალს, ვინც არ კითხულობს ლექციებს სხვა უნივერსიტეტებში, სავალდებულო დატვირთვის გარდა, შეუძლია დაიმატოს საათები, მაგრამ დამატებით ანაზღაურებული იქნება არა უმეტეს 4 საათისა.* ამასთან დაკავშირებით ასოცირებულმა პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ საათების დამატებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოწვეული პედაგოგების რაოდენობის მინიმუმადე დაყვანა. მისი აზრით, მოწვეულ პედაგოგებს სიახლე შემოაქვთ ფაკულტეტზე და ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სასწავლო პროცესზე. საბჭომ ამ საკითხზე იმსჯელა და აღინიშნა, რომ არსებული კურიკულუმის

ფარგლებში პედაგოგების მოწვევა მაინც გახდება აუცილებელი და ამიტომ კენჭის ყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

**საბჭომ კენჭი უყარა შემდეგ დადგენილებას:** ***იმ აკადემიურ პერსონალს, ვინც არ კითხულობს ლექციებს სხვა უნივერსიტეტებში, სავალდებულო დატვირთვის გარდა, შეუძლია დაიმატოს საათები, მაგრამ დამატებით ანაზღაურებული იქნება არა უმეტეს 4 საათისა.***

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

- ასოცირებულმა პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა დააყენა შემდეგი საკითხი: რამდენ სტუდენტზე უნდა გაიხსნას არჩევითი საგანი მაგისტრატურაში? საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და შეთანხმდა, რომ სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს 5 ან 5-ზე მეტი.

**საბჭომ კენჭი უყარა არჩევითი საგნის გახსნის საკითხს. საგანი გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საგანზე დარეგისტრირდება 5 ან 5-ზე მეტი სტუდენტი და ერთხმად დაამტკიცა.**

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

- ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააყენა ახალ პროგრამულ ბაზაზე - LMS სისტემაზე გადასვლის საკითხი. ამ სისტემაზე გადასვლა გულისხმობს, რომ პროფესორებმა მონაცემები თავიანთი სტუდენტების შესახებ შეიტანონ აღნიშნულ ბაზაში. მისი აზრით პროფსორის ბაზაზე წვდომა ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის უფრო ორგანიზებულად წარმოებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება

გამოითქვა და ბოლოს საბჭო შეთანხმდა იმაზე, რომ ახალ ბაზაზე გადასვლა მოხდეს პროფესორის სურვილის შესაბამისად.

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2019-2020 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი ადგილების შემდეგი რაოდენობებით: განათლების ფსიქოლოგია და კვლევა -10; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია - 14; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - 15; ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - 8; იურიდიული ფსიქოლოგია - 10; ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური კონსულტაცია და შეფასება -10; განათლების მეცნიერებები - 60; მასწავლებელთა განათლება - 30.
2. შევიდეს ცვლილებები ფსიქოლოგის დეპარტამენტისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური პროგრამების სილაბუსებში.
3. დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისიის კოორდინატორად.
4. დამტკიცდეს დოქტორანტ მზექალა აჯაიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ქეთევან ჭკუასელი - პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; რუსუდან სანაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; ნინო ჩახუნაშვილი - ასისტენტ-ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; ეფემია ხარაძე - ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ; თეა ფეტელავა - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ენების ცენტრის მასწავლებელი, საქართველოს უნივერსიტეტი; ნინო ანთაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; ლედა ქობალია - პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტი.

5. *იმ აკადემიურ პერსონალს, ვინც არ კითხულობს ლექციებს სხვა უნივერსიტეტებში აუნაზღაურდეთ დამატებითი საათები, არაუმეტეს 4 საათისა.*
6. სამაგისტრო პროგრამაზე არჩევითი საგანი გაიხსნას იმ შემთხვევაში, თუ საგანზე დარეგისტრირდება 5 ან 5-ზე მეტი სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი

ირინა ქვანია / /